

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

„ილიაუნის არქეოლოგიის სტუდენტური კლუბი“

წესდება

თბილისი 2019

თავი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 კლუბის სრული დასახელება: „ილიაუნის არქეოლოგიის სტუდენტური კლუბი“.
- 1.2 „ილიაუნის არქეოლოგიის სტუდენტური კლუბი“ წარმოადგენს ნების თავისუფლებაზე დამყარებულ სტუდენტურ გაერთიანებას, რომელიც უნივერსიტეტის და საკუთარი წესდების საფუძველზე ახორციელებს საქმიანობას.
- 1.3 კლუბი იქმნება განუსაზღვრელი ვადით

თავი 2. კლუბის საქმიანობა

- 2.1 „ილიაუნის არქეოლოგიის სტუდენტური კლუბის“ მიზნებს წარმოადგენს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სხვადასხვა არქეოლოგიურ თემებზე საჯარო ლექციების, შეხვედრების, კონფერენციების, კინოჩვენებების, დებატების და სხვა შემეცნებითი და გასართობი იმ ღონისძიებების ორგანიზება, რაც დაკავშირებული იქნება არჩეულ მიმართულებასთან;
- 2.2 ღონისძიებების შემდეგ შესაბამისი საკითხის განხილვა, დისკურსიების გამართვა, სადაც ნებისმიერ წევრს ექნება უფლება მიიღოს დაესწროს და გამოთქვას საკუთარი აზრი;
- 2.3 საჭიროების შემთხვევაში კლუბის წევრები ასევე იზრუნებენ თემატიკის მიხედვით „ილიაუნის არქეოლოგიის სტუდენტურ კლუბში“ შესაბამისი სტუმრების მოწვევაზე და თემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და დაინტერესებულ პირთათვის მოკლედ გაცნობაზე.

2.4 არქეოლოგიური თემატიკით დაინტერესებულ სტუდენტთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

2.5 კლუბი ასევე ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას უნივერსიტეტის და საკუთარი წესდების საფუძველზე.

თავი 3. კლუბის წევრობა

3.1 ამ წესდებით დადგენილი წესით კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ილიაუნის ნებისმიერი სტუდენტი.

3.2 კლუბში გაწევრიანების მსურველი წერილობით მიმართავს მიმღებ პირებს, რის შემდეგაც იგი ავტომატურად მიღებულ იქნება და აღირიცხება შესაბამის მონაცემთა ბაზაში;

3.3 კლუბის წევრს უფლება მოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს;

გ) თუ იგი უხეშად არღვევს გაერთიანების ეთიკის ნორმებსა და შინაგანაწესს;

დ) უფლებამოსილების შეწყვეტა ვრცელდება კლუბის ყველა წევრზე, გარდა დამფუძნებელის სპეციფიკური შემთხვევისა;

3.4 კლუბის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს კლუბის საერთო კრების მუშაობაში.

ბ) კლუბის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობების ფარგლებში ისარგებლოს კლუბის სარგებლობაში არსებული ინფორმაციით და ტექნიკური საშუალებებით.

3.5 კლუბის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას კლუბის წესდება და წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ბ) დაიცვას კლუბის ეთიკის ნორმები და დაემორჩილოს შინაგანაწესს.

გ) შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს კლუბის საქმიანობაში.

თავი 4. პრეზიდენტის შესახებ

4.1 ხელმძღვანელობს კლუბს

4.2 უზრუნველყოს კლუბის ქმედითუნარიანობა

4.3 დაეხმაროს კლუბის თითოეულ წევრს

4.4 სურვილისამებრ დატოვოს კლუბი

4.5 პრეზიდენტს კლუბის წესდების დარღვევის შემთხვევაში მოეხსნება უფლებამოსილება და გაირიცხება გჯუფიდან.

ა) თუ იგი უხეშად არღვევს კლუბის ეთიკის ნორმებს და შინაგანაწესს

ბ) სისტემატიურად არ ესწრება შეხვედრებს

გ) ზეწოლას ახდენს კლუბის ან გუნდის წევრებზე

4.6 კლუბის პრეზიდენტი არჩეული იქნება 2 წლის ვადით.

4.7 პრეზიდენტი ირჩევა კლუბის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობით.

თავი 5. გუნდის შესახებ

5.1 მოგვიანებით კლუბის პრეზიდენტი არჩევნების გზით ჩამოაყალიბებს აღმასრულებელ გუნდს.

5.2 წევრების რაოდენობა განისაზღვრება საჭიროებიდან გამომდინარე

5.3 აქვთ სრული უფლებამოსილება, მაგრამ ემორჩილებიან კლუბის პრეზიდენტს.

თავი 6. წესდება

6.1 წესდებაში შესწორების შეტანის და წესდების შეცვლის უფლება აქვს კლუბის პრეზიდენტს და გუნდის წევრებს.

აღნიშნული წესდება ამოქმედდეს მისი დამტკიცებისთანავე.

„ილიაუნის არქეოლოგიის სტუდენტური კლუბის“ დამფუძნებელი

ოთარ გელაშვილი